ხელშეკრულება №114სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV- 15831000; 15861000; 15864100; 39222110; 39222120; 41110000)

ერთი მხრივ, **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ 211358957), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად",** წარმოდგენილი გენერალურ დირექტორ **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **სს „აიდ გრუპ"** (ს/კ 405176973) შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი დირექტორ **დავით დათიკაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება")** – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება"** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. **„დღე", „კვირა", „თვე"** – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. **„შემსყიდველი"** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. **„მიმწოდებელი"** – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. **„საქონელი"** – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. **„ინსპექტირება"** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
სხვადასხვა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მოწვეული სტუმრებისათვის ჩაის, ყავის, შაქრის, წყილისა და ერთჯერადი ჭურჭლის სახელმწიფო შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად
(CPV- 15831000; 15861000; 15864100; 39222110; 39222120; 41110000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **282.75 (ორას ოთხმოცდაორი ლარი და 75 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ისე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს, ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება №1 დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი

მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანართ №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება საქონლის მიწოდებისას.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად მელქაძე ან იმ დროისთვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მოწოდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
7.2. საქონლის მიწოდებამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. საქონლის მიწოდების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
გ) დაფინანსების წყარო: 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მხრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას მისთვის დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

15. ფორსმაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	**სს „აიდ გრუპ“**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1	**მისამართი:** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18
ტელეფონი: 2 38 14 25	**ტელეფონი:** 211 06 26; (595) 85 24 54; (595) 99 16 26
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	**ელფოსტა:** info@supta.ge
ბანკის კოდი: TRESGE22	**ბანკის დასახელება:** სს „თიბისი ბანკი“
ანგ. №GE24NB0330100200165022	**ბანკის კოდი:** TBCBGE22
ს/კ: 211358957	**ანგ. №**GE89TB7213436060100002
	ს/კ: 405176973

დანართი №1

№	**შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები**	**შესყიდვის ობიექტის განზომილე-ბა და რაოდენობა**	**ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნისა და მწარმოებლის შესახებ**	**ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)**	**მთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)**	**CPV კოდი**	**შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი**
1	**ერთჯერადი ჩაის კოვზი** მასალა: პლასტმასი კოდი: 1610301	200 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** თურქეთი **მწარმოებელი:** LUX	0.07	14.00	**39222110**	**მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღე. **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
2	**ერთჯერადი მუყაოს ჭიქა** 8oz-235 მლ (ამერიკანო) კოდი: 1610285	200 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** თურქეთი	0.18	36.00	**39222120**	
3	**ერთჯერადი შაქრის სტიკები** 1კგ ერთი სტიკის მოცულობა: 5 გრ; შეკვრაში: 200 ც კოდი: 1610891	3 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** თურქეთი	16.75	50.25	**15831000**	
4	**სასმელი წყალი პლასტმასის ბოთლით** მოცულობა: 0.5 ლიტრი კოდი: 1610891	48 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** საქართველო **მწარმოებელი:** ბაკურიანი	0.95	45.60	**41110000**	
5	**ერთჯერადი თეფში** მასალა: პლასტმასი 19მმ კოდი: 1610253	100 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** თურქეთი **მწარმოებელი:** KARNAVAL	0.10	10.00	**39222110**	
6	**ხილის ჩაი ერთჯერად პაკეტებში** 2გრ/100ც კოდი: 1610820	2 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** ჩინეთი **მწარმოებელი:** GREENFIELD	19.35	38.70	**15864100**	
7	**შავი ჩაი ერთჯერად პაკეტებში** 2გრ/100ც კოდი: 1610819	2 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** ჩინეთი მწარმოებელი: GREENFIELD	21.85	43.70		
8	**ხსნადი ყავა შუშის ქილაში** 190 გრ კოდი: 1610811	1 ცალი	**წარმოშობის ქვეყანა:** საფრანგეთი **მწარმოებელი:** CARTE NOIRE	44.50	44.50	**15861000**	

სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით: 282.75 (ორასს ოთხმოცდაორი ლარი და 75 თეთრი) ლარი.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1 **ტელეფონი:** 2 38 14 25 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა **ბანკის კოდი:** TRESGE22 **ანგ. №**GE24NB0330100200165022 **ს/კ:** 211358957	**სს „აიდ გრუპ“** **მისამართი:** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18 **ტელეფონი:** 211 06 26; (595) 85 24 54; (595) 99 16 26 **ელფოსტა:** info@supta.ge **ბანკის დასახელება:** სს „თიბისი ბანკი“ **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ანგ. №**GE89TB7213436060100002 **ს/კ:** 405176973